გორისმუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 191

2024 წლის 13 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა მოიცავს სამ დამოუკიდებელ ქვეპროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს გორის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების ხელშეწყობას. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოღვაწეობს მრავალი წარმატებული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ. გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანხით წაახალისოს ყველა ის პერსპექტიული სპორტსმენი, რომელიც თავისი შედეგებით და მიღწევებით წარმოაჩენს თავს, გააუმჯობესებს სპორტულ შედეგებს, გამართავს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტულ ღონისძიებებს, მონაწილეობას მიიღებს მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრში საქართველოს ფარგლებს გარეთ. გორის მუნიციპალიტეტის მერია მზადაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაძლებელი გახადოს სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება. გარკვეული სახით ხელი შეუწყოს და განავითაროს მასიური სპორტი, რომელიც შესაძლებელს გახდის საზოგადოებაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. რაც შეეხება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ისინი იღებენ მონაწილეობას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილ სპორტის სახეობებში. გორის

მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის განყოფილება უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას შესაბამის სპორტულ ღონისძიებების ჩატარებასა და მონიტორინგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა“ დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის 8 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2025 წლის 1 იანვარს.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება: გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა
2. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია: კერძო სამართლის იურიდიულ პირები და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები
3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მოქმედების პერიოდი: 2025 წელი
4. ორგ. კოდი - 05 01 01
5. პროგრამის დაფინანსების წყარო : ძირითადი – გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური: გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
7. პროგრამის ანოტაცია, განსახორციელებელი პროექტები და მისი შესრულების პრინციპები:

აღნიშნული პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს გორის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების ხელშეწყობას.

დასახელებები:

- პერსპექტიული სპორტსმენების ხელშეწყობის და თანადაფინანსების ქვეპროგრამა
- სპორტის განვითარების, ხელშეწყობის და თანადაფინანსების ქვეპროგრამა

- წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოვების ქვეპროგრამა

№1

პერსპექტიული სპორტსმენების ხელშეწყობის და თანადაფინანსების ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის განხორციელების პრინციპები:

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოღვაწეობს მრავალი პერსპექტიული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ.

გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანხით წაახალისოს ყველა ის პერსპექტიული სპორტსმენი, რომელიც რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტში და არიან ოლიმპიურ სპორტის სახეობებში მონაწილე სპორტსმენები, რომლებიც თავისი შედეგებით და მიღწევებით წარმოაჩენენ თავს, გააუმჯობესებენ სპორტულ შედეგებს, გამართავენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტულ ღონისძიებებს, მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიური სპორტის სახეობებში საქართველოს ფარგლებს გარეთ. თანადაფინანსება ითვალლისწინებს მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას. ასევე, ოლიმპიურ სპორტის სახეობებში მონაწილე სპორტსმენები, რომლებიც ირიცხებიან ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში, პარალელურად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სწავლობენ აკრედიტირებულ პროგრამებზე მიიღებენ თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

პროგრამა არ აფინანსებს სპორტსმენის მიერ გარკვეულ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის საჭირო საწევროს გადასახადს. პროგრამით მოსარგებლე სპორტსმენმა უნდა დაასაბუთონ რა სპორტული შედეგის გაუმჯობესებისათვის ესაჭიროება კონკრეტულ სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა, რომ ირიცხებიან ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში, პარალელურად სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტირებულ პროგრამებზე.

- პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1.	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მოღვაწე პერსპექტიული სპორტსმენების ოლიმპიური სპორტის სახეობებში მონაწილეობის ხელშეწყობა (ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების თანადაფინასება).	პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენები

- პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	პროგრამით გათვალისწინებული დახმარება	შენიშვნა
1.	პერსპექტიული სპორტსმენები		თანადაფინანსება	
სულ:				

№2

სპორტის განვითარების, ხელშეწყობის და თანადაფინანსების ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის განხორციელების პრინციპები:

გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას გარკვეული სახით ხელი შეუწყოს და განავითაროს სპორტი, უზრუნველყოს სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება. აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაძლებელი გახადოს სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება. ეს პროგრმა შესაძლებელს გახდის საზოგადოებაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

- პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1.	გორის მუნიციპალიტეტის ტეროტორიაზე სპორტის განვითარების მიზნით, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში.	წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგი
2.	გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სპორტული აქტივობების მოწყობა	ღონისძიებების დაფინანსება და ჯილდოები

- პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	პროგრამით გათვალისწინებული დახმარება	შენიშვნა

1. 2.	ყველა ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	განუსაზღვრელი	ღონისძიებების დაფინანსება და ჯილდოები	
	სულ:			

№3

წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოვების ქვეპროგრამა

პროექტის განხორციელების პრინციპები:

გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანხით წაახალისოს და დააჯილდოვოს ყველა ის წარმატებული მწვრთნელი და სპორტსმენი, ვინც რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტში, რომელიც აღზრდილია გორის სპორტული სკოლების მიერ და ასევე ირიცხებიან გორის მუნიციპალიტეტის სპორტულ სექციებში. რომელიც თავისი შედეგებით და მიღწევებით წარმოაჩენს თავს, გააუმჯობესებს სპორტულ შედეგებს, გამართავს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტულ ღონისძიებებს, მონაწილეობას მიიღებს მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრში საქართველოს ფარგლებს გარეთ.

იმ სპორტსმენებიდან, რომლებიც არ არიან გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ამ ქვეპროგრამით შესაძლოა დაჯილდოვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც ასპარეზობენ ინდივიდუალურ სახეობაში, აღზრდილნი არიან გორის მუნიციპალიტეტის სპორტული დაწესებულებების მიერ, საქართველოს ჩემპიონატზე ასპარეზობენ გორის სახელით, რის შემდეგაც შედიან საქართველოს ეროვნული ან ასაკობრივი ნაკრების შემადგენლობაში და ნაკრებთან ერთად მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებში ასპარეზობისას მოიპოვეს მედალი ოლიმპიურ თამაშებზე, ან მსოფლიოს, ან ევროპის ჩემპიონატზე.

პროგრამის ფარგლებში დაჯილდოვდებიან: ა) ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულ სპორტსმენთა ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით:

ა.ა) I ადგილი 10000 ლარი; ა.ბ) II ადგილი 8000 ლარი; ა.გ) III ადგილი 6000 ლარი;

ბ) მსოფლიო ჩემპიონატში ოლიმპიური სახეობებში გამარჯვებულ სპოტსმენებს ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით: ბ.ა) 23 წლის და მეტი ასაკის პირები: ბ.ა.ა) I ადგილი 5000 ლარი; ბ.ა.ბ) II ადგილი 3000 ლარი; ბ.ა.გ) III ადგილი 2000 ლარი. ბ.ბ) 23 წლამდე ასაკის პირები და ახალგაზრდები: ბ.ბ.ა) I ადგილი 3000 ლარი; ბ.ბ.ბ) II ადგილი 2000 ლარი; ბ.ბ.გ) III ადგილი 1500 ლარი ბ.გ) ჭაბუკები და სკოლის მოსწავლეები: ბ.გ.ა) I ადგილი 2000 ლარი; ბ.გ.ბ) II ადგილი 1500 ლარი; ბ.გ.გ) III ადგილი 1200 ლარი.

გ) ევროპის ჩემპიონატში ოლიმპიურ სახეობებში გამარჯვებულთათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით: გ.ა) 23 წლის და მეტი ასაკის პირები: გ.ა.ა) I ადგილი 3000 ლარი; გ.ა.ბ) II ადგილი 2000 ლარი; გ.ა.გ) III ადგილი 1500 ლარი. გ.ბ) 23 წლამდე ასაკის პირები და ახალგაზრდები: გ.ბ.ა) I ადგილი 2000 ლარი; გ.ბ.ბ) II ადგილი 1500 ლარი; გ.ბ.გ) III ადგილი 1200 ლარი. გ.გ) ჭაბუკები და სკოლის მოსწავლეები: გ.გ.ა) I ადგილი 1500 ლარი; გ.გ.ბ) II ადგილი 1200 ლარი; გ.გ.გ) III ადგილი 1000 ლარი.

დ) საქართველოს ჩემპიონატი ოლიმპიური სახეობებში გამარჯვებულ სპოტსმენების ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით: დ.ა) 23 წლის და მეტი ასაკის პირები - I ადგილი 1500 ლარი; დ.ბ) 23 წლამდე ასაკის პირები და ახალგაზრდები - I ადგილი 1200 ლარი; დ.გ) ჭაბუკები და სკოლის მოსწავლეები - I ადგილი 1000 ლარი;

ე) მსოფლიო ჩემპიონატში არაოლიმპიური სახეობებში ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით: ე.ა) 23 წლის და მეტი ასაკის პირები: ე.ა.ა) I ადგილი 2500 ლარი; ე.ა.ბ) II ადგილი 1500 ლარი; ე.ა.გ) III ადგილი 1000 ლარი. ე.ბ) 23 წლამდე ასაკის პირები და ახალგაზრდები: ე.ბ.ა) I ადგილი 1500 ლარი; ე.ბ.გ) II ადგილი 1000 ლარი; ე.ბ.დ) III ადგილი 800 ლარი. ე.გ) ჭაბუკები და სკოლის მოსწავლეები: ე.გ.ა) I ადგილი 1200 ლარი; ე.გ.ბ) II ადგილი 800 ლარი; ე.გ.დ) III ადგილი 500 ლარი.

ვ) ევროპის ჩემპიონატში არაოლიმპიურ სახეობებში გამარჯვებულთათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით: ვ.ა) 23 წლის და მეტი ასაკის პირები: ვ.ა.ა) I ადგილი 1200 ლარი; ვ.ა.ბ) II ადგილი 1000 ლარი; ვ.ა.გ) III ადგილი 800 ლარი. ვ.ბ) 23 წლამდე ასაკის პირები და ახალგაზრდები: ვ.ბ.ა) I ადგილი 1000 ლარი; ვ.ბ.ბ) II ადგილი 800 ლარი; ვ.ბ.გ) III ადგილი 600 ლარი. ვ.გ) ჭაბუკები და სკოლის მოსწავლეები: ვ.გ.ა) I ადგილი 800 ლარი; ვ.გ.ბ) II ადგილი 600 ლარი; ვ.გ.გ) III ადგილი 400 ლარი.

ზ) სათამაშო სახეობებში გამარჯვებულ გუნდებისთვის ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით: ზ.ა) 23 წლის და მეტი ასაკის პირები: ზ.ა.ა) I ადგილი 5000 ლარი; ზ.ა.ბ) II ადგილი 3000 ლარი; ზ.ა.გ) III ადგილი 2000 ლარი. ზ.ბ) ახალგაზრდები: ზ.ბ.ა) I ადგილი

3000 ლარი; ზ.ბ.ბ) II ადგილი 2000 ლარი; ზ.ბ.გ) III ადგილი 1500 ლარი. ზ.გ) ჭაბუკები და სკოლის მოსწავლეები: ზ.გ.ა) I ადგილი 2000 ლარი; ზ.გ.ბ) II ადგილი 1500 ლარი; ზ.გ.გ) III ადგილი 1000 ლარი.

თ) მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერანებს შორის გამარჯვებულთათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდოშემდეგი ოდენობით: თ.ა) I ადგილი 1500 ლარი; თ.ბ) II ადგილი 1200 ლარი; თ.გ) III ადგილი 1000 ლარი.

ი) სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობენ სათამაშო სპორტის სახეობებში და ირიცხებიან ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში, დაჯილდოვდნენ ინდივიდუალურ სპორტის სახეობებში საქართველოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი ჯილდოს ოდენობით.

კ) ნებისმიერი საპრიზო ადგილის მფლობელ, გამარჯვებული სპორტსმენის მწვრთნელს გადაეცემა ერთჯერადი ფულადი ჯილდო, გამარჯვებული სპორტსმენის ჯილდოს ნახევრის ოდენობით (გარდა ვეტერანი სპორტსმენების მწვრთნელებისა. ერთჯერადი ფულადი ჯილდო ვრცელდება კინგბოქსინგის მსოფლიო ორგანიზაციის (WAKO) ფედერაციის ვერსიით მიღწეულ შედეგებზე. აღნიშნული ინიციატივა გავრცელდება ასევევ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში გამარჯვებულ სპორტსმენებზე.

- პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

№	პროგრამის მიზნები	მიზნებისმიღწევისშეფასებისინდიკატორები
1.	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მოღვაწე წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაჯილდოვება	წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგი

➢ პროგრამით მოსარგებლეპირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	პროგრამით გათვალისწინებული დახმარება	შენიშვნა
1.	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული მწვრთნელები და სპორტსმენები	-	ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქრები.	
	სულ:			

დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამის დაფინანსების პროცედურა განხორციელდება:

ა) გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანადაფინანსება/დაჯილდოვება განხორციელდება იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებისა და სპორტსმენებისათვის, რომელთაც სპორტული ღონისძიების განხორციელებისათვის/მონაწილეობისათვის ექნებათ გარკვეული ფინანსური ან ტექნიკური მხარდაჭერა ან/და დაჯილდოვების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ბ) თანადაფინანსება განხორციელდება კონკრეტული წინადადების ან ინიციატივის განხილვის შემდეგ, რომელსაც განიხილავს გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

ბ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან თანხის ანაზღაურება (გადარიცხვა) მოხდება გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების (მიღება - ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება, ინვოისი, ხარჯთაღრიცხვა, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშფაქტურა, სახელფასო უწყისი) ან/და დაჯილდოვების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენის შემდეგ.